3576

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 19 ივნისი, 1942 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 25 (236). ფასი 30 კაპ.

საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის გამარჯვება

საბჭოთა მთავრობის სტალინურმა საგარეო პოლიტიკამ უდიდესი გამარჯვება მოიპოვა: 26 მაისს ლონდონში ხელმოწერილ იქნა სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის დადებული ხელშეკრულება ჰიტლერის გერმანიისა და ევროპაში მისი თანამზრახველების წინააღმდეგ ომში მოკავშირეობისა და ომის შემდეგ თანამშრომლობის და ურთიერთ დახმარების შესახებ. ამ აქტიდან ორი კვირის შემდეგ, 11 ივნისს ვაშინგტონში სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაიდო შეთანხმება, რომელიც, გაზეთ „პრავდას“ სიტყვით, ინგლისთან დადებული ხელშეკრულების ძვირფას დამატებას წარმოადგენს და რომელიც დაკავშირებულია მასთან მიზნის ერთობით. განუზომელია ამ დოკუმენტების მნიშვნელობა. ისინი მოწოდებული არიან დააჩქარონ ჰიტლერიზმის განადგურება. ლონდონში და ვაშინგტონში წარმოებული მოლაპარაკების დროს მიღწეულია სრული თანხმობა გაიხსნას 1942 წელს მეორე ფრონტი ევროპაში. მაგრამ ამ აქტების მნიშვნელობა მხოლოდ იმ ამოცანებით როდი იფარგლება, რომელთა გადაწყვეტამაც უნდა დააჩქაროს ჰიტლერული გერმანიის დამარცხება. ისინი ითვალისწინებენ საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთის და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობას ომის შემდეგ მშვიდობიანობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

ხელშეკრულების და შეთანხმების დადების ამბავს დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის ხალხები, რადგან ამიერიდან უფრო მტკიცე საფუძველს დაემყარება სამი დიდი და უძლეველი ქვეყნის თანამშრომლობა, რადგან მტერი ამიერიდან იძულებული ხდება საქმე იქონიოს არა მარტო ჩვენთან, არამედ ჩვენს ორ ძლიერ მოკავშირესთან. დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება საბჭოთა კავშირისადმი ახლა შემდგომ განვითარებას პოულობს, უფრო მაღალ საფეხურზე ადის.

უდიდეს მნიშვნელობას აძლევს ორსავე ამ აქტს საერთაშორისო პრესა. იგი აღნიშნავს, რომ ევროპამ, რომელიც გაჩაღებულ ომში იმყოფება, ამ ორი აქტით თავისი უშიშროების ქარტია მიიღო, სამმა უძლავრესმა სახელმწიფომ სრულ სამხედრო თანამშრომლობას მიაღწია, რაც ომის შემდგომი მუდმივი მოწყობის საფუძვლად გახდება. ხელშეკრულების პრაქტიკული მოქმედება, — სწერს რეიტერის სააგენტოს დიპლომატიური მიმომხილველი,—დაუყოვნებლივ დაეტყობა ევროპის ომს. ამ შეთანხმებათა შედეგები უახლოეს ხანში თავს იჩენენ ღერძის სახელმწიფოთა წინააღმდეგ მძლავრი და სავსებით შეთავსებული შეტევის სახით.

ამრიგად ხორციელდება სამხედრო თავდაცვის სახალხო კომისრის, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მიერ 1941 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვები იმის შესახებ, რომ ევროპაში მეორე ფრონტი უთუოდ გამოჩნდება. "ეს გარემოება ახალ ენერგიას და მხნეობას მატებს ჩვენი არმიის სახელოვან მებრძოლებს და ზურგში ფრონტისათვის თავდაუზოგველად მომუშავე პატრიოტებს.

მიესალმებიან რა საბჭოთა მთავრობის ბრძნული საგარეო პოლიტიკის გამარჯვებას, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება ჰიტლერელ ავაზაკთა სრული განადგურება, ჩვენი სამშობლოს სახელოვანი პატრიოტები ვალდებულებას კისრულობენ — უფრო მეტად დაძაბონ თავიანთი ძალები, უფრო თავდადებით იშრომონ იმისათვის, რომ მოაახლოვონ მტრის დაჩქარებით და საბოლოო განადგურება.

საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ მტერზე გამარჯვება იჭედება უმთავრესად აქ, საბჭოთა კავშირის ფრონტებზე. სწორედ ჩვენს მიწა-წყალზე უნდა გადაუტყდეს მტერს ხერხემალი და აქ უნდა ჰპოვოს მან სამარე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ მოგველის ბრძოლის არა ერთი და ორი სიძნელე. როგორც ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო მართებულად აღნიშნავს, „მტერი ჯერ კიდევ ძლიერია. სასოწარკვეთილებით გამოწვეული გააფთრება ყოველნაირ ახალ ავანტიურას ჩაადენინებს მას, მაგრამ ჰიტლერის გერმანიის დღეები დათვლილია, ისტორიის განაჩენი ულმობელია და რაც უფრო მალე მოიყვანენ სისრულეში ამ განაჩენს გაერთიანებული თავისუფლებისმოყვარე ხალხები, მით უფრო მალე აკაშკაშდება მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სინათლე, რომელიც ბედნიერი ცხოვრების გზას უნათებს მთელს კაცობრიობას“.

უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირში

უფაში შესდგა უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ფრონტელი პოეტის ლ. დმიტერკოს ინფორმაცია სამხრეთის ფრონტზე უკრაინის მწერლების მუშაობის შესახებ.

უკრაინელ ლიტერატორთა დიდი ჯგუფი, რომელიც სამხრეთის ფრონტზე იმყოფება, ამჟამად გმირულ დონბასში მუშაობს.

სამხრეთის ფრონტის ფრონტულ და წითელარმიულ ჟურნალ-გაზეთებში უშუალო მონაწილეობის გარდა, მწერლებმა მომქმედი არმიის მებრძოლთათვის გამოსცეს რამდენიმე კრებული სათაურით „ჩვენი გმირები“ და ალმანახი „შეტევა“. გარდა ამისა, სამხრეთის ფრონტის პოლიტსამმართველომ გამოსცა უკრაინის მწერალთა მოთხრობებისა და ნარკვევების ორი წიგნი.

უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირი აწყობს უკრაინის მწერალთა შემოქმედებითს საღამოებს, ამ მწერლების სამამულო ომზე დაწერილ ახალ ნაწარმოებთა კითხვას. ამას წინად შესდგა იური იანოვსკის ნოველების საღამო, მოეწყო შეხვედრა ფრონტელ პოეტებთან—ს. გოლოვანოვსკისთან, ლ. დმიტერკოსთან და კ. გერასიმენკოსთან. ორივე საღამომ დიდი წარმატებით ჩაიარა.

ლიტერატურული საღამო დუშეთში

დუშეთის სარაიონო გაზეთის „სტალინური გზით“-ის რედაქციის და სალექციო ბიუროს ინიციატივით კვირას, 15 ივნისს, დუშეთის კინო-კლუბში მოეწყო ლიტერატურული საღამო.

შესავალი სიტყვით საღამო გახსნა გაზეთ „სტალინური გზით“-ის რედაქტორმა ამხ. ნ. ხეთაგურმა. მოხსენებით თემაზე „სამამულო ომის პერიოდში ქართული საბჭოთა მწერლობა“ გამოვიდა მწერალთა კავშირის წარმომადგენელი სიმონ წვერავა.

ლექსები სამამულო ომის თემაზე წაიკითხეს ხალხურმა მოლექსეებმა და ახალგაზრდა ავტორებმა: გ. გულაშვილმა, შაქრო სამადაშვილმა, კ. ნამგალაურმა და გ. მარცვალაშვილმა. შემდეგ სიმონ წვერავამ წაიკითხა თავისი მოთხრობა „მოხუცის გმირობა“.

საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო.

„დავით აღმაშენებელი“ სომხურად

სომხეთის სახელგამი სომხურ ენაზე სცემს კონსტანტინე გამსახურდიას ტრილოგიის „დავით აღმაშენებლის“ პირველ წიგნს.

რომანს სთარგმნის სურენ ავჩიანი. წიგნი გამოვა პოეტის ავეტიკ ისააკიანის რედაქციით.

„დავით აღმაშენებლის“ ფრაგმენტები დაიბეჭდება ჟურნალში „სოვეტიკან გრაკანუთუნ“.

საბჭოთა ქვეყნის დიდი პატრიოტი

მაქსიმ გორკის გულმხურვალედ უყვარდა თავისი სამშობლო, თავისი ხალხი. ნაციონალური სიამაყის კეთილშობილური გრძნობებით არის გამსჭვალული გენიალური პროლეტარული მწერლის ყველა დიადი ნაწარმოები. უსაზღვრო რწმენა და სიყვარული ჩვენი ქვეყნისადმი შთააგონებდა მას შესანიშნავი სახალხო გმირების სახეების შექმნას.

აღფრთოვანებით ლაპარაკობდა მაქსიმ გორკი საბჭოთა ქვეყნის შესახებ, სადაც თავისუფლად და ბედნიერად ცხოვრობენ და იღწვიან ადამიანები. გორკის მტკიცედ სჯეროდა ჩვენი ხალხის გოლიათური ძალა, რომელიც გადალახავს ყოველგვარ სიძნელესა და დაბრკოლებას, გაუძლებს ყოველ სასტიკ გამოცდას. იგი ამბობდა: „ხალხი არის არა მარტო ძალა, რომელიც ჰქმნის მატერიალურ ღირებულებებს, არამედ — ერთად-ერთი და დაუშრეტელი წყარო სულიერ ღირებულებათა შექმნისა, მშვენიერი და გენიალური შემოქმედების ფილოსოფოსი და პოეტი, რომელმაც შექმნა დედამიწაზე ყველა დიადი პოემა, ყველა ტრაგედია და მათ შორის ყველაზე უდიადესი—მსოფლიო კულტურის ისტორია“.

თავის ცნობილ მხატვრულ ნაწარმოებებში მაქსიმ გორკი აღნიშნავს რუსი ხალხის შესანიშნავ თვისებებს. მოთხრობაში „ქალაქი ოკუროვო“ ერთ-ერთი მოქმედ პირთაგანი აცხადებს: „და გეტყვი მთელი გულით ნათქვამ სიტყვას — შეუდარებელია რუსი ხალხი... კეთილი, ნიჭიერი ხალხი...“ იგივე აზრი, იგივე გრძნობა არის გამოხატული მაქსიმ გორკის კლასიკურ ნაწარმოებში „დედა“, სადაც ვკითხულობთ: „რა კარგი ადამიანები არიან, ნილოვნა! მე ვლაპარაკობ ახალგაზრდა მუშების მაგარი, გრძნობიერი, ყველაფრის გაგების წყურვილით გამსჭვალული ადამიანების შესახებ. უყურებ მათ და ჰხედავ, რომ რუსეთი იქნება ყველაზე ნათელი დემოკრატიული ქვეყანა დედამიწაზე“.

მაქსიმ გორკის მთელი მხატვრული შემოქმედება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა გამსჭვალულია სამშობლოს სიყვარულის უღრმესი გრძნობით. მას თავდავიწყებით უყვარდა თავისი ხალხი და ამაყობდა მისი მიღწევებით, იგი სწერდა: „მე ვხედავ რუს ხალხს, განსაკუთრებით, ფანტასტიკურად ნიჭიერს, თავისებურს... მე ვფიქრობ, როდესაც ეს გასაკვირველი ხალხი გამოერკვევა ყოველივე იმისაგან, რაც მას ეზიდება შიგნიდან და აბრკოლებს... იგი იცხოვრებს ზღაპრული გმირული ცხოვრებით და ბევრს რასმე ასწავლის დაქანცულ და დანაშაულთაგან გონებამიხდილ ქვეყნიერებას“.

დიდი პროლეტარული მწერალი საბჭოთა მწერლებს მოუწოდებდა, აღეზარდათ და განემტკიცებინათ ხალხში სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი და **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიისადმი. „ჩვენ ვცხოვრობთ ბედნიერ ქვეყანაში, სადაც არის ისეთი რამ, რაც უნდა გვიყვარდეს და რასაც პატივს უნდა ვცემდეთ. ჩვენში სიყვარული ადამიანებისადმი უნდა აღმოცენდეს და კიდეც აღმოცენდა მისი შემოქმედებითი ენერგიისადმი გაკვირვების გრძნობისაგან, ადამიანთაგან ურთიერთის კოლექტიური შრომისადმი უსაზღვრო პატივისცემისაგან, რომელიც ჰქმნის ცხოვრების სოციალისტურ ფორმებს, სიყვარულისაგან პარტიისადმი, რომელიც არის მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხის ბელადი და ყველა ქვეყნის პროლეტარების მასწავლებელი“.

მაქსიმ გორკის მხურვალედ უყვარდა რა თავისი სამშობლო, თავისი ხალხი, იმავე დროს იგი დიდად აფასებდა სხვა ხალხებსაც, ქადაგებდა პატივისცემას მათი ღირსებისა და კულტურისადმი.

გორკი გაბედულად იბრძოდა დამამცირებელი რასიული სიძულვილის მქადაგებელთა წინააღმდეგ. ჯერ კიდევ რევოლუციამდე აღიმაღლა მან ხმა რასიული მტრობის გამოხატულების წინააღმდეგ. განსაკუთრებით მძაფრად გორკი რასიული სიველურისა და ეროვნული სიძულვილის მატარებელთა წინააღმდეგ ილაშქრებდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. გორკი დაუნდობლად ებრძოდა ფაშისტ ბარბაროსების „რასიულ თეორიას“, მათ ბოდვას „მსოფლიო ბატონობაზე“ მათ მგლურ „კანონს“, რომელიც ხალხებს ჰყოფს დაბალ—მონების რასად და მაღალ—ბატონების რასად. გორკის კარგად ესმოდა ფაშიზმის მამოძრავებელი აზრი, რომელიც მომაკვდავი საზოგადოებრივი წყობილების „ლპობისა და დაშლის“ გამოხატულებას წარმოადგენს. მისი აზრით, პროლეტარიატის ჰუმანიზმი მოითხოვს „ჩაუქრობელ სიძულვილს მეშჩანებისადმი, კაპიტალისტების ძალა-უფლებისადმი, მისი ლაქიებისადმი, პარაზიტებისადმი, ფაშისტებისადმი, მუშათა კლასის ჯალათებისადმი და გამცემლებისადმი, სიძულვილს ყველა იმისადმი, ვინც იწვევს ადამიანთა ასეულ მილიონების ტანჯვას“. გორკი ფაშიზმს უწოდებს „კიბოს სიმსივნეს“, რომელიც დაუნდობლად უნდა ამოიჭრას. გორკის ეს სიტყვები საყვირივით გაისმოდა, იგი მოუწოდებდა ყველა პატიოსან ადამიანს დაუზოგველი ბრძოლისაკენ პირსისხლიანი ჰიტლერელების წინააღმდეგ. გორკის ეს სიტყვები დღეს უფრო მეტის ძალით გაისმიან და მოგვიწოდებენ დაუნდობლად ვჟლიტოთ და ვანადგუროთ პირსისხლიანი ბარბაროსები, ფაშისტი ყაჩაღები.

მაქსიმ გორკი ითვალისწინებდა იმასაც, რომ ფაშისტ იმპერიალისტებს შეეძლოთ გამოელაშქრათ თავისუფლებისა და ბედნიერების ქვეყნის—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამიტომ საბჭოთა მწერლებს ასწავლიდა იგი შეუნელებლად განევითარებინათ ჩვენს ხალხში გმირობის, თავდადების, ვაჟკაცობის გრძნობა. გორკი აცხადებდა, რომ თუ დაიწყება ომი, მიუხედავად თავისი მოხუცებულობისა იგი მაშინვე წავა რიგითი მებრძოლად ფაშისტი ველურების გასანადგურებლად. გორკი ყოველი საბჭოთა მოქალაქის წმინდათაწმინდა მოვალეობად სთვლიდა იარაღით ხელში ბრძოლას სამშობლოსათვის, თავისი ხალხის ბედნიერებისათვის.

საბჭოთა ხალხის სამამულო ომში დღეს მაქსიმ გორკის სიტყვები, მოწოდებები უძლიერეს იარაღს წარმოადგენენ გაცოფებული მტრის საბოლოო განადგურების საქმეში.

ფაშიზმის ულმობელი მამხილებელი

დღეს, როცა საბჭოთა ხალხი და მთელი მოწინავე კაცობრიობა ჩაბმულია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში უსაზიზღრეს ნაძირალთა—ჰიტლერელთა ხროვის, კანიბალური ურდოების წინააღმდეგ, მთელი თავისი სიდიადით სდგას ჩვენ წინ ბუმბერაზი ფიგურა მაქსიმ გორკისა, უფრო მკვეთრად, ვიდრე ოდესმე, მოგვესმის მისი მომწოდებელი ხმა, უფრო ცხოვლად და მწვავედ ვგრძნობთ მთელი მისი ცხოვრების მიზან-სწრაფვას, სამშობლოსადმი მისი უსაზღვრო სიყვარულისა და მსახურების მაღალ პათოსს, განვიცდით მის დაუცხრომელ, შეუნელებელ სიძულვილს მილიონების სისხლში ამოსვრილ, გაცოფებულ ფაშიზმისადმი.

ხედავდნენ რა დიდ პროლეტარულ მწერალში თავიანთი ბნელი საქმეების დაუნდობელ მამხილებელს, შეურიგებელ მოწინააღმდეგეს და დაუძინებელ მტერს, სამშობლოს მოღალატეებმა და გამცემლებმა — ტროცკისტებმა, ზინოვიეველებმა და ბუხარინელებმა ჰიტლერელთა პირდაპირი ბრძანებით და უშუალო დაკვეთით სიცოცხლე მოუსპეს უდიდეს ანტიფაშისტ მოღვაწეს და ტრიბუნს, რომელიც მთელი მსოფლიოს პროგრესიულ ძალებს თავს უყრიდა და რაზმავდა დღევანდელი გადამწყვეტი ბრძოლისათვის სისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ.

რეგვენი და გონებაჩლუნგი ნაძირალების ანგარიში, რომ გორკის ფიზიკური მოსპობით თავს მოჰკვეთდნენ კულტურის მოღვაწეთა საერთაშორისო ანტიფაშისტურ მოძრაობას, რომ გორკის მუხანათური მოკვლით შეწყვეტდნენ მისი სიტყვის ზემოქმედებას და შეასუსტებდნენ მის შემოქმედების დამრაზმელ ძალას,—ფაშისტების და მათი აგენტების ეს ბოროტი ანგარიში არ გამართლდა.

არც ერთს დიდ მწერალს მსოფლიოში არ მოუცია ისეთი ზუსტი და ამომწურავი დახასიათება და მხილება ფაშიზმის გახრწნილებისა, ამორალობისა და ველურობისა, როგორიც მოგვცა ალექსი მაქსიმეს-ძემ 1932-1936 წლებში გამოქვეყნებულ თავის პუბლიცისტურ წერილებსა და სიტყვიერ გამოსვლებში.

მაგრამ გორკის არა მარტო უკანასკნელი წლების პუბლიცისტიკა, არამედ მთელი მისი მხატვრობა არის განუწყვეტელი მხილება იმ საზოგადოებრივი ურთიერთობისა, იმ უკუღმართი ცხოვრებისა და იდეოლოგიისა, რომელმაც თანამედროვე ფაშიზმი წარმოშვა.

გაძლიერებული მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის სულიერ შთამგონებლად ბურჟუაზიამ ნიცშე გამოიყვანა. პრუსიელი იუნკერების და ფინანსიური კაპიტალის მაგნატების დაკვეთით ნიცშემ უკუაგდო წინანდელი ბურჟუაზიული ჰუმანისტური ფრაზეოლოგია და ბურჟუაზიული დემოკრატიის ყველა ტრადიცია. ისტორიის თავდაღმართზე დაქანებულ ბურჟუაზიას გაძლიერებული მუშათა რევოლუციური მოძრაობისთვის არაფერი შეეძლო დაეპირისპირებია, გარდა ფიზიკური ძალისა, გარდა შიშველი ძალადობისა. ეს კარგად და ზედმიწევნით გაიგო ნიცშემ და ამ ისტორიული ფაქტიდან სათანადო დასკვნა გამოიტანა. მან იკისრა ბურჟუაზიის „ძლიერი ადამიანების“ აღმზრდელის როლი, აშკარად წინ წამოსწია „ქერა-თმიანი ნადირის“ ესე იგი მონათმფლობელის, კოლონიზატორის, დამპყრობელის, კონკვისტადორის იდეალი, იდეალი „ზეკაცისა“, რომელიც უარს აცხადებდა ჰუმანიზმის ყოველგვარ ნაშთზე, ყოველგვარ ადამიანობაზე.

ბურჟუაზიის მიერ ჰუმანიზმის წინააღმდეგ აშკარა ომის გამოცხადებას მშრომელმა კაცობრიობამ, რუსეთის მებრძოლმა პროლეტარიატმა გორკის გრანდიოზული ფიგურით უპასუხა. გორკიმ აღმართა ადამიანობის დროშა, ახალ საფუძველზე აღადგინა ნამდვილი დიდი ჰუმანიზმის ტრადიციები ლიტერატურაში.

კაპიტალისტურ სამყაროს მხეცურ ძალას, რომელიც შემდგომში მსოფლიოს ფაშიზმის სახით მოევლინა, მშრომელმა კაცობრიობამ დაუპირისპირა ახალი სოციალისტური ჰუმანიზმი, განუყრელი და განუშორებელი ბრძოლისაგან, რომელიც ზრდის ახალ ადამიანებს, ძლიერ, უშიშარ, შეუპოვარ ადამიანებს, რომელთაც ვერ წარმოედგინათ ცხოვრება უბრძოლველად, ადამიანებს, რომლებმაც იცოდნენ, რა არის ძალა და რომელთაც სწადდათ კიდეც ყოფილიყვნენ ძლიერნი.

ფაშიზმის მოციქული ნიცშე ეუბნებოდა „ძლიერთ“ ამა ქვეყნისას—„ხელი ჰკარ უღონოსა და წაბორძიკებულს“. გორკი ეუბნებოდა „უღონოს“ —ხელი ჰკარ ძლიერსა და დაინახავ, რომ იგი უძლურია; შეიცნე შენი ძალა და ძლიერი იქნებიო. თავის „საუბრებში ხელობის შესახებ“ გორკი სწერდა, რომ ნიცშეანურ პრინციპს „ხელი ჰკარ წაბორძიკებულს“ მე ვუპირისპირებ პრინციპს—„ხელი გაუწოდე ფეხზე წამომდგარს“.

სამწერლო სარბიელზე გამოსვლის პირველ წლებიდანვე გორკი ებრძოდა ანტი-ჰუმანისტურ ტენდენციებს ლიტერატურასა და ფილოსოფიაში.

ურყევი რწმენა ადამიანის მაღალმორალურ თვისებებში, და ადამიანებისადმი მხურვალე სიყვარული გამოსჭვივის გორკის ადრინდელ მოთხრობებში. ჭაბუკი დანკო, ჩელკაში და გორკის ადრინდელი მოთხრობების სხვა გმირებიც ყურადღებას იპყრობენ ახალი მორალით, თავისი ჭეშმარიტი ადამიანური ბუნებით, რომელიც ვერ ეგუება კაცჭამიაობას და კაცთმოძულეობას, მაგრამ დანკო, ჩელკაში და სხვები მხოლოდ ცალკეული ბუნტარები და პროტესტანტები არიან, ისინი როდი გამოდგებოდნენ იმ დიდი მისიის შემსრულებელ ძალად, რომელიც შემდეგ რევოლუციურმა პროლეტარიატმა იკისრა.

თავისი შემოქმედების მხოლოდ მეორე ეტაპზე გორკიმ სინამდვილეში დაინახა და მხატვრულად განასახიერა მთელი პლეადა ადამიანებისა, რომელთაც შეეძლოთ გამკლავებოდნენ, გასძღოლოდნენ და მეთაურობა გაეწიათ მშრომელთა გრანდიოზული ბრძოლისათვის ძველი სამყაროს წინააღმდეგ. ეს ძალა შეგნებული რევოლუციური პროლეტარიატი იყო. ამ ძალის წარმომადგენელია ნილი (პიესა „მეშჩანები“). ნილი არის არა მწერლის ფანტაზიით შექმნილი რომანტიული იდეალი, არამედ რეალურად არსებული ძლიერი ადამიანი.

დიდმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ შემდგომი წლების თავის მოთხრობებსა და რომანებში მოგვცა არა ერთი და ორი წარმტაცი სახე რევოლუციონერი მებრძოლისა. გორკის საყოველთაოდ ცნობილი და საყვარელი გმირები პავლე ვლასოვი, ნილოვნა, კუტუზოვი ბოლშევიკური ტიპის ადამიანთა წინამორბედნი არიან. ეს სახეები ზრდიდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ დღევანდელ მებრძოლთა მთელ თაობას, ისინი ნერგავდნენ პროლეტარულ ახალგაზრდობაში მუშათა საქმისათვის, სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლის ტრადიციებს, ხდებოდნენ მათთვის მისაბაძ და წამახალისებელ მაგალითად.

დიდმა მწერალმა იცოდა, რომ ფაშისტებს შეეძლოთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაეძრათ თავიანთი ურდოები. გერმანელი ფაშისტების დანაშაულებრივი, ნამდვილი ყაჩაღური პრაქტიკის ცალკეული ფაქტების მიხედვით გორკიმ ჯერ კიდევ 1933 წელს იწინასწარმეტყველა: „ფაშისტებს არ შეუძლიათ არსებობა ისე, თუ ხალხების მასობრივ განადგურებას არ მოაწყობენ. ისინი მუშათა მასების პროფესიული მკვლელები არიან. ცნობილია, რომ ჩვენ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ადამიანები, ხელს ვუშლით მსოფლიო მძარცველებისა და მკვლელების ცხოვრებას და ამიტომ მათ ძალიან სწადიათ ნაწილობრივად მოგვსპონ, ნაწილობრივად მონებად გაგვიხადონ“.

დიდმა მწერალმა განსჭვრიტა ჰიტლერელთა ის მხეცობა, რომელიც ფაშისტმა კანიბალებმა საბჭოთა მიწა-წყალზე ჩაიდინეს და რომელმაც მთელი მსოფლიო შეაძრწუნა. გორკი სწერდა: „უკვე დროა შევიგნოთ, რომ ფაშიზმი არის ავადმყოფი, სულთმობრძავი კლასის სადიზმი. ფაშისტები მხეცებზე უფრო სისხლხარბნი არიან, მაგრამ უფრო მხდალნი და მშიშარნი, ვიდრე მხეცები.“ არ არის დანაშაული, არ არის ბოროტება, რომელზედაც უარი სთქვან ფაშისტებმაო,—ამბობდა გორკი. გორკი მოგვიწოდებდა მტრის განადგურებისაკენ, წმინდა შურისგებისაკენ. „საქმე მარტო ის კი არ არის დავარწმუნოთ მხეცი ლმობიერად მოეპყრას ადამიანს, რომელიც მას კლანჭებში ჩაუვარდება, არამედ თავთან ერთად წავგლიჯოთ ამ მხეცს კლანჭებიანი თათები. მტერი განწირულია და დაიღუპება მით უფრო მალე, რაც უფრო გიჟური და უმსგავსო იქნება მისი დაუცხრომელი სისხლისმოყვარეობა“.

ამასთან დიდი ჰუმანისტი გვაფრთხილებდა, რომ ფაშიზმის წასვლა ისტორიის სარბიელიდან თავის თავად არ მოხდება, რომ ეს დიდი საქმე უნდა იკისროს საბჭოთა ხალხმა, მისმა წითელმა არმიამ. გორკის სწყუროდა მოსწრებოდა იმ დროს, როცა მოწინავე კაცობრიობა ჩვენი ხალხის წინამძღოლობით მტვრად აქცევდა სისხლიან ფაშიზმს, როცა დაჰკრავდა გამარჯვების საათი და მსოფლიო ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდებოდა ჰიტლერიზმის შხამიანი კოშმარისაგან.

ასეც იქნება—ჰიტლერიზმი განადგურდება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

ვ. წულუკიძე

დავით გურამიშვილი მაგდებურგის ციხეში*

სიმონ ჩიქოვანი

„პრუსის კოროლს შეურყიეთ
ტახტის სვეტი“.
დავით გურამიშვილი.

არ დარჩენილხარ ბრძოლის გარეშე,
კვისტრინთან ომი გაჩაღდა ცხარი,
მტერთან მიიჭერ, ხმალი დაგეშე,
უნდა გაგეპოთ პრუსიის ჯარი.
უეცრივ ლიას ჩაგეფლა ჰუნე,
მაინც მარჯვენა არ მოადუნე.
გადმოხტი, სისხლი ხმალზე აპკურე
და ვაჟკაცური სუნთქვა არგუნე.
მხედარი იყავ მხნე და მამაცი,
თუმცა ჩაგეფლა ქურანა ჰუნე,
ხმალი პირბასრი, როგორც ალმასი,
ფართო ქარქაშში არ ჩააბრუნე.
„აბა წამოდექ, ჩემო ქურანავ,
ოდერის ნაპირს დავარტყათ ტორი.
მამულმა ჩვენმა დაგვაპურადა,
მანვე ჩაგვაცვა ლითონის თორი“,—
აგრე სჭექდი და პრუსიელს ჰკვეთდი,
ბრძოლის გრიგალში იწოდი, სანამ
მკერდზე არ მოგხვდა მახვილის წვეტი
და არ მოგტეხეს ტოტივით ძალა.
დაგჭრეს, მოგკვეთეს ვეფხური ბწკალი,
დაუძლურდი და პირაღმა დაეც.
არვინ შეგასვა წყლის პირას წყალი
და ყელგამშრალი ბლუჯავდი ჰაერს.
მხოლოდ ცას სჭვრეტდი და დააყურე,
გაიწკრიალა წინაპრის კვესმა.
სული ლაჟვარდით შენ დააპურე,
ღვთისმშობლის კაბის შრიალი გესმა.
ცას მიაკუთვნე დაჭრილი სული,
თითქო იპოვე გრილი მაღნარი.
ცის სასუფეველს სწმენდდა ქალწული
და ჯეჯილივით მორთე ლაღანი,
რქვი: „უკვდავების წყლის იათუღო,
გთხოვ, მიმკვდარებულს მაპკურო წყალი!
ჩემი ცხოვრება ცას მიადუღო,
კვამლად მიჰქციო საკმელი თვალი“.
მაგრამ შენ ლოცვა შეგაწყვეტინეს,
არ დაგინელა ჭრილობამ სიცხე.
აგწიეს, სარკმლით გაგაჭვრეტინეს —
და მაგდებურგში ტყვეობა იწყე.

ო, მაგდებურგის მაღნარი მწირი,
განგებამ წყაროდ ცრემლები მოგცა.
ტუსაღს გიშრება საკანში პირი
და გიცივდება ბაგეზე ლოცვა.
ციხის სარკმლიდან ლუდხანას უმზერ,
არვინ ერთობა ღარიბულ სუფრით.
მხოლოდ გვალვისგან დანისნულ მწუხრზე,
ტურფად ელვარებს ტაძარი უფლის.
თითქო ფათერაქს გადარჩა ეტლი,
გზად მიღანღალებს, არ მიჰყავს მგზავრი.
მწუხრში ჰყვავიან კვამლი და ცეცხლი
და უხმლო კაცის უძლური ჯავრი.
არვის არ მოაქვს საგზლის კალათი,
მიიწურება მიმწუხრი მორცხვი.
დღისა და ღამის გაყრა მარადი
ჰგავს განშორებას სულის და ხორცის.
ნაცრით სავსეა ნამცეცი პურის,
სარკმელი არის რკინით ნალობი.
ო, კუჭის ჩივილს დაუგდეთ ყური,
კუჭს მიაწოდეთ მიწის ნაყოფი.
მას აგონდება, მირგოროდს როგორ
ღვივის, ფუვდება ცომი ღუმელით.
თვალმინაბული ღუღუნებს გოგო
და ხელთ უპყრია თეთრი ღრუბელი.
ფუნთუშა პურით მდიდრდება თვალი,
ნერწყვის მომგვრელი იღვრება ორთქლი.
ყანას დარაჯობს წინაპრის ხმალი.
ხორბალს ატყვია მშრომელის ოფლი.
ან ქართლის თორნის ღუღუნი წმინდა,
გლეხის ჩაკრული ლავაში ბრტყელი.
მშობლიურ მიწის ნაყოფი გინდა
ორთქლიანი და გულივით ცხელი.
ადექი, ძმაო, ხელი ხმალს იკარ,
უნდა წაგართვან განცდილი სითბოც.
თუმცა დაჭრილი ციხეში ზიხარ,
მაინც ქურანა ჭიხვინით გიხმობს.
აგრე ფიქრობს და გაქცევას ცდილობს,
ქარიშხალივით საკანში შფოთავს.
რომ სულისათვის სილაღით სწიროს,
სწყევლის და ებრძვის გარინდულ ოთახს.

აგრე გავიდა ორი ზამთარი,
ორი ზაფხული მჭლე და გამხდარი.
ზამთარს უყვარდა ტახტი ყინულის,
ზაფხულს ნამგალი პირმოპირული.
დავითმა სარკმლით ნახა ავდარი,
როგორ დაუხვდა ზაფხულს ზამთარი.
ვით მიუსია მიწას ქარ-წვიმა,
ზაფხულს უჩვენა თავის განწირვა.
შეშა დასწვა და სული დანაცრა,
ფრთა გაფოფრილი ქვრას დააცხრა,
ხეებს აჰკიდა თოვლის ჭაპანი
და ფრინველების მოსპო ჭაპანი.
მან ლოლუები თითქო გაჰყიდა,
მძივების დარად სახლებს დაჰკიდა.
სუსხით მიწიდან სითბო ამოჰვა,
ყინულზე ცივი ვარდი ამოსჭრა.
როს მარტში იგრძნო მიწამ საშველი,
ქარით დაიცვა თავის ნაშენი.
მაგრამ მოვარდა ზაფხული ჯიქი,
სულ მიუმსხვრია ჰურჭელი ჭიქის.
კვლავ გამოიღო ოსტატის მკლავი,
კვირტს აუხილა დრომდით თვალი,
დაიგრუხუნა, გაჰფანტა ნისლი —
ცად ცისარტყელა გაშალა თვისი.
გამოუქარგა ფოთოლი ტოტებს,
მწვანე ქოლგები გაშალა ოდეს,
წელში გამართა ჯეჯილი სუფთა,
სიცოცხლის ძალას გალობა უთხრა.
ააღორტულა მერცხლები ბუდით
და დაიხურა ჰილოფის ქუდი.
დავითი სარკმლით უცქერდა ჰიდილს,
ბევრი მისულა და ბევრი მიდის.
ნახა ზამთარი დაძლეულ იქმნა
და აღიტაცა სიცოცხლის ფიქრმა:
რუსთ ასულის „ვესნა ვესნა“
ესმა და მოჰყვა ბულბულის კვნესა.
ასულს ამკობდა ფოთოლი ჩირგვის,
ყვავილს კრეფდა და უწნავდა გვირგვინს;

და მოუშუშდა ჭრილობა დავითს,
მაგრამ ტყვეობაც ჭრილობა არი.
არ დაგაძინებს დარაჯი ღამის,
დარაზულია მწუხარე კარი.
ტყვე გახდი, ციხედ გამომწყვდეული,
რა გაგაჩერებს მყუდრო ადგილას.
ვიწრო საკანი გხუთავს წყეული,
ვერ შეეჩვიე ციხეს ადვილად.
გარს შემოგეკრა თითქო ფაცერი,
უწყლო ოცნება ფართქალებს ციხით.
უკრაინაში დაგრჩა ნაწერი,
გახუნებული სისხლით და სიცხით.
„არ გადამიწვან, როგორც ბეღელი,
ჩემი ნაწერი, ცრემლით ნაჰკური.
არ დამეკარგოს სული მეტყველი,
გალობით, ლოცვით შემონახული.
ბეღელი არის ლექსების წიგნი,
შიგ უჩინარი ყანა შრიალებს.
შიგ მარცვლებივით ჩავყარე ფიქრი,
მისი ნიავი ჰკურნავს იარებს.
ციხეში მესმის ყანის ჩურჩული,
როგორ ვიმღერო, ტყვე ბულბული!“
ასე ამბობდა ტყვე და ტუსაღი,
შორს ჭიხვინებდა მისი ულაყი.
„რა მელექსება, ომის ცეცხლია,
ლუწი ვიყავ და გამხდარვარ ცალი.
ჩემო განგებავ, თუ დაგეცლია
ბევრს აქაფავდა ჯავარდენის ხმალი!“
თვალაპყრობილი დავითი დადის,
ვიწრო საკანში გამომწყვდეული.
რომ გადათვალა ნაბიჯი ათი —
ორჯერ მობრუნდა მისი სხეული.
სად არ ყოფილა, რა კაცი არი?
შვედებთან ომი, ბრძოლა ხოთინის.
წინათ ლეკების ტყვე-პატიმარი
და მაგდებურგში ეხლა ლოდინი.
გამოჩეკილი კვერცხთა ნაჭუჭი—
ორმოცდაათი ჩამწკრივდა წელი.
წლებმა გადუწვეს თმები ხუჭუჭი
და სანთლივით დაუდგეს ბნელი.
შემოეპარა სიბერე დავითს,
განაცრისფერდა თვალები ლურჯი.
თუმცა საომრად მიიწევს მკლავი,
მაგრამ დახუთავს კედლები მუჯღი.
საკანში მაინც მოკონავს უხმოდ
რუსთა ლაშქარის მებრძოლი სული.
მტერს გადუტყდაო მახვილი უფხო
და დამარცხება ერგოვო სრული.
სისხლით ნაფერი ოდერი მიქუხს,
იქ ყვავილებად დაჰყარე ცრემლი.
რუსთა მხედრობა მიადგა ჯიქურ
გერმანულ ფარით დახურულ ბერლინს
პრუსიის კოროლს ერყევა ტახტი,
ფრიდრიხ მეორე ქურანა რაშით
უაზქანდით და დაგლეჯილ რაზმით
საქსონიიდან გადარბის მთაში.
ვადას მოსწიე, დავითს მოესმა,
გაიღო ხელი, სად არის ხმალი?
ძმობილო, მახვილს უნდა მოლესვა,
მახვილს ამაოდ დაეძებს თვალი.
შფოთავს, მღელვარებს სასომიხდილი:
„იბრძოლეთ ძმანო გაშალეთ ფრთენი,
ტყვეობას გიჯობთ ომში სიკვდილი,
რომ ვაჟკაცურად დალიოთ დღენი!“
უხმლოდ მხედრდება გრძნობა ფარული,
რუსთა ლაშქარი ბერლინში შედის,
ისმის ზარი და ცხენთა თქარუნი
და ციხით შფოთავს დავითის ბედი.
ქართლით მოსული ელვარებს ლურჯა,
მისი ძმებია რუსულ ლაშქარში,
და დამარცხებულ ბერლინის ქუჩას
ამკობს ქართული რვალის კაშკაში.
დავითი საკნად შფოთარებს, ვიდრე
ოქტომბრის ღამით იხუთვის სიცხით,
რუსებს გადასცეს ბერლინის კლიტე
და გასაღები ფრიდრიხის ციხის.
ო, სიხარულმა გამსჭვალა გული,
როგორ გააპოს კედლები კრული.

მოგაგონდება ქართული ხმალი,
ომი თურქთან თუ ბრძოლა ხოთინის.
შენ ზუბოვკიდან გიამობდა ქალი,
ვაჰ, თუ ჩამოჰკნა ვარდი ლოდინით.
რუსთან იყავ და უკრაინელთან,
მათ შეუხორცდი ჭირში და ლხინში,
რამდენს გაანდე მამულის ელდა,
არსად გიგრძვნია სიკვდილის შიში.
შველოდი ომში დაცემულ მოძმეს,
მიდამოს ქართლის ცრემლი ასხური.
და, როგორც დედის რძიანი ძუძუ,
შენი ოცნება იქვე დასწური.
რუსულ ლაშქარში ძმურად იბრძოდი,
არ შეარცხვინე ქართული ხმალი.
ფინეთში ომის ცეცხლში იწოდი,
პრუსიის გზაზე მიჰქროდი მალი.
კვისტრინთან მტერი დაძლეულ იქმნა,
თუმცა შენ გახდი სიკვდილის მოწმე.
კვლავ აგიტაცა მხედრულმა ფიქრმა
და მოიგონე მრავალი მოძმე.
შენ მოგაგონდა რუსული კალოც,
როცა ლაზარემ გარგუნა პური.
მისი პირველი შეხვედრით გალობ,
ფრინველის დარად ფართქალებს გული.
„მე დავიმკვიდრე ხმალით მამული,
ნამდვილი სუნთქვა მეომარ ქართლის.
აბა მუღაბანი თუ მეწამული
მე გავანათე ჩამოქნილ სანთლით.
იქნებ ოდესმე მეომრის ღონე,
ძეო ქართლისავ, მოგყვეს აქამდი.
მოდი ამ ადგილს და მომიგონე,
რომ მეც პირველად ამ გზას ვკაფავდი!“
იტყვის დავითი და მწუხარ წამით,
შემოსულ დარაჯს მოგუდავს მალე.
გავარდება და გალურსულ ქამით
მას შეიფარებს ოქტომბრის ღამე.
ხმა, მაგდებურგში ირხევა სუსხზე,
გამოცოცხლდება ქალაქი მკვდარი.
გაქცეულაო ქართველი წუხელ,
ციხის საკანში უჩინრად მჯდარი.
გადასცურაო გაშლილი ელბა,
სად იშოვაო მახვილი მაინც.
ვერვინ შეხვდება ქართველთან შებმა,
ნამდვილ ჰგავდათ ჯვაროსან რაინდს.

დავითმა ბევრ ზამთარი ხვლიან,
გაზაფხულივით წაიღო სუნთქვა.
გზად რუსთა ლაშქარს წამოეწია,
გამარჯვებულებს მადლობა უთხრა.
ალაღებული ამღერდა კიდეც,
ბერლინის კლიტეს შეახო ხელი.
თავის ჭრილობას დაადო კლიტე
და გადმოაგდო სიამის ცრემლი.

---

*) წიგნიდან: „დავით გურამიშვილის ცხოვრება“.

შვილი

როდიონ ქორქია

1.

ტასოსი და მალხაზის ცხოვრება უმწეო დღეს ჰგავდა. ათი წელია შვილს ნატრობდნენ და შვილი არა ჰყავდათ.

პირველ წლებში მწვავედ განიცდიდნენ უშვილობას. ტასო ხშირად სევდიანად დაჰყურებდა კუთხეში მიდგმულ დარწეველ აკვანს. მალხაზი ყოველ წელს გამართავდა შვილდ-ისარს და მიაყუდებდა კუთხეში. ბოლოს ტასოს მოსწყინდა ცარიელი აკვანი და სხვენზე აიტანა. მალხაზი კი ზამთარში გამართულ შვილდ-ისარს ზაფხულობით გაარუქებდა ხოლმე. ამიტომ უყვარდათ ბავშვებს მალხაზი. მათ ეგონათ, რომ მალხაზი მათთვის მართავდა შვილდ-ისარს.

თანდათან შეეჩვივნენ ჩუმ ოთახებს, მუნჯ ეზოს და უხმაურო დღეებს. როგორ გეხარდებოდა ტასოს, პატარა ხელებს რომ კარადა გაეღო და წკრიალ-წკრიალით ჩამოეყარა ჭიქები და თეფშები! რა ბედნიერი იქნებოდა მალხაზი, ხის კენწეროზე ბავშვი რომ დაენახა და გაბრაზებით დაეძახა:

— ჩამოდი, შე ეშმაკო! ჩამოდი, თორემ დაგიხევ ყურებს!

მეზობელი რომ მეზობლის ჭიშკარს მოადგებოდა, ისმოდა ძაღლის ყეფა და ძახილი:

— ვანო, მამაშენი შინ არის? მნახოს, საქმე მაქვს-თქო!

— ვარდიკო, დედაშენს დაუძახე, სიტყვა მაქვს-თქო, უთხარი!

ხოლო მალხაზისა და ტასოს ჭიშკარს რომ მოადგებიან, ჯერ ჩაახველებენ, თითქოს ბოდიშობენო, შემდეგ კი ფარულის მორიდებით დაიძახებენ:

— ჰმ... ჰმ.., მალხაზ! ეი, მალხაზ!

— ჰმ.. ჰმ... ტასო! უკაცრავად ტასო!

თითქოს ამბობდნენ მეზობლები: განა არ ვიცით, რომ უხერხულია თქვენი დაძახება, მაგრამ რა ვქნათ?

2.

სოფელში ხმა დაირხა: ფრონტიდან მშობლებ-დაკარგული ბავშვები ჩამოიყვანესო. კოლმეურნეობის გამგეობამ მოწოდებით მიმართა ხალხს: ვისაც შეგიძლიანთ, ბავშვები წაიყვანეთო.

ტასო სტუმრად იყო მეზობელ სოფელში, დედულეთში. იქ გაიგო ფრონტიდან ბავშვების ჩამოყვანა. საჩქაროდ გაეშურა თავის სოფელში. თოვლი მუხლამდე სწვდებოდა, სიარულს უძნელებდა, ბოტებში ჩაუდიოდა. რომ დააგვიანდეს და ვერ მიიღოს ბავშვი? მაინც, რა წყეული ზამთარია წელს! ასეთი ხანგრძლივი, ცივი და თოვლიანი ზამთარი არ ახსოვს ტასოს. თითქოს გადაიღოვო თოვა: მაგრამ წუხელის ისე სქლად მოუთოვია, რომ დილას მთელს სოფელში ისმოდა გადაძახილი:

— ხალხნო, გამოდით გარეთ! გაკვალეთ თოვლი! გაავლეთ ხარო! გახსენით გზა!

დათოვლილ გზასა და ეზოებს თეთრწვერა მოხუცები და ალისფერსაყელოიანი პიონერები შეეფინნენ, ებრძოდნენ თოვლს და იკვლევდნენ გზას. შავულვაშა ხალხი იშვიათად ჩანდა, შავულვაშებიანნი ფრონტზე წასულიყვნენ.

მიდის გაკვალული გზით ტასო და ფიქრობს: გოგო შეხვდება თუ ბიჭი? დიდი იქნება თუ პატარა? ლამაზი თუ არა?

აი მიიყვანს ტასო შინ შვილობილს, დაბანს, დავარცხნის, ჩააცვამს, იმ შალის კაბას გადაუკერავს, აბრეშუმის პარკში პრემიად რომ მიიღო.

ნეტავი სიმღერა თუ ეცოდინება? როგორ უნდა ტასოს, რომ მის ეზოში მისმა ბავშვმა შემოსძახოს სიმღერა! როგორ აჭდება ამდენი წლის ნატვრა! ათი წელია, რაც ტასოს კალთა შვილს ელის. ათი წელია, რაც მუნჯივით სდუმს ტასოს ეზო. ახლა უნდა დაირღვეს ეს დუმილი.

მანძილი რომ შეამოკლებინა, ტასომ ნაყანევისაკენ გადაუხვია. გზა გაკვალული არ იყო და ტასო რამდენჯერმე ჩაეფლო ღრმა თოვლში. მაინც არ დაბრუნდა და ჯიუტად გასწია წინ. მოსახვევთან, სოფლის დასაწყისს, დაკვალული გზა შენიშნა. გაუკვირდა. ვის დასჭირდა აქეთ გზის გაკვალვა? ალბათ, ვიღაცას ტასოსავით საშური გზა ჰქონია კოლმეურნეობის გამგეობისაკენ.

აი გამგეობის კანცელარიაც. დერეფანში ხალხი ირევა. ტასოს შემოეგება ეზოს სითბო, კვამლის სუნი და შეკრებილთა გუგუნი. ღობეზე გადასვლისას ტასოს ფეხი დაუცდა და ღობესთან მიყრილ ღრმა თოვლში ჩაიფლო. წამოდგა, მაგრამ ცალი ბოტი თოვლში ჩარჩა და ძებნა დაუწყო. იპოვნა, გაბერტყა და ისის იყო უნდა ჩაეცვა, რომ ვიღაცამ მხიარულად დაუძახა:

— ტასო, ტასო, კარგი ფეხისა თუ ხარ: მომილოცე, რა გოგოა!

ტასომ თავი ასწია. ბრიგადირი ეთერი იდგა მის წინ. მხარზე ლამაზი, პატარა გოგონა დაესვა და იღიმებოდა.

— შენ? შენ რად გინდოდა? — გაუკვირდა ტასოს და გულმა რეჩხი უყო: ამას მოუსწრია ჩემთვის და დათოვლილ მინდორში ის გზა ამას გაუკვალავსო.

— როგორ თუ რად მინდა? — უპასუხა ეთერმა, — ჩემს ორ ვაჟს ერთი დაიკო არ ერგება თუ?

— ეჰ, სიხარბევ! — გაუღლვა ტასოს, ბოტი ხელში დაიჭირა და სირბილით გასწია კანცელარიისაკენ. ქშენით მივარდა თავმჯდომარეს:

— ხომ იცით, მე შვილი არა მყავს? ჰოდა მე სხვაზე მეტი უფლება მაქვს, ჩემთან არც გაუჭირდება.

— დაგაგვიანდა, ამხანაგო ტასო! — უთხრა თავმჯდომარემ, — სულ ათი ბავშვი იყო. დაიტაცეს. უკანასკნელი, ყველაზე პატარა, ეთერმა წაიყვანა. ბევრი მეხვეწა უარი ვერ უთხარი.

— რასაკვირველია, როგორ ეტყოდი უარს? —გაბრაზებით მიახალა ტასომ. — ეთერი ხომ შენი ნათესავია?

3.

დაღონებული მიუახლოვდა ტასო თავის ეზოს. ისე უხალისოდ და შორეულად ეჩვენა მაღალი სახლი და ეზო, თითქოს პირველად ხედავსო. ჭიშკარი შეაღო და შეჩერდა. თბილი კვამლის სუნი ეცა და ნესტოებში შეუღიტინა.

— მაშასადამე, მალხაზი დაბრუნებულა რაიონიდან, — გაიფიქრა ტასომ, — ადრეკია. ხვალამდე არ უნდა დაბრუნებულიყო. არ შემინიშნოს მოწყენა. არ უყვარს, როცა მოწყენილი ვარ.

ტასომ წარბებზე ხელი მოისვა, თმა ბერეტში შეიკეცა და წელში გასწორდა.

— ჰო, საყვედურს მეტყვის, რატომ ბავშვი არ მოიყვანეო. მე კი, მე დედულეთში მეძინა.., ჩემი ბრალია, ჩემი...

სუროთი დახლართულ მუხაზე შაშვმა დაიჭახჭახა და ტოტიდან ტოტზე გადაფრინდა. ტასომ თვალი გააყოლა. შაშვს წითელი ნისკარტი აეშვირა და სივრცეს გაჰყურებდა.

— რა არხეინადაა!—ნაღვლიანად გაიქნია თავი ტასომ, — თითქოს იცის, რომ ჩემს ეზოში არავინ დააფრთხობს..

უცებ ისარმა გაიზუზუნა და შაშვი თოვლში ჩაეცა.

— ვაშაა! — მოისმა ტასოს.

წამსვე, სად იყო, სად არა, თხილნარიდან პატარა ბიჭი გამოძვრა და შაშვისაკენ გაექანა. ბიჭს მალხაზის ქუდი ეხურა, ტანზე კი ტასოს მოკლე ჟაკეტი ეცვა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — მოისმა მალხაზის მხიარული ხმაც და მალხაზი გამოეკიდა ბავშვს.

— ეს რა ამბავია? ვინ არის? — გაკვირვებით ჰკითხა ტასომ ქმარს.

— ეგ ჩვენი ბიჭია. რაიონში ჩამოიყვანეს, ფაშისტებმა დაუხოცეს მშობლები. მე წამოვიყვანე. ვიცოდი, გაგეხარდებოდა. შეხედე, რა ლამაზია? — და ქერა ულვაშზე ხელი გადაისვა.

ტასომ უხმოდ მივიდა ბავშვთან. ერთხანს დააკვირდა. ვერაფერი უთხრა. გულმა ცემას უხშირა.

ბავშვიც შეჩერდა ტასოს. ბავშვი მიხვდა, რომ ეს შავთვალა ქალი მის ცხოვრებაში რაღაც დიდი მოვლენა იყო. მოაგონდა შორეული ფრონტი, დაკარგული დედა, ყინვა და სიცივე, უპატრონოდ ხეტიალი და შიშილი — ბავშვმა ქუდი მოიხადა, ნიკაპი აუკანკალდა.

ისინი იდგნენ ერთმანეთის პირდაპირ უსიტყვოდ, გარინდებულნი — ახალი დედა და ახალი შვილი. და ორივეს ნელა ჩამოუგორდა ცრემლი.

თითქოს ამ ცრემლებმა გასდეს მათ შორის ხიდი, ტასო ეცა ბავშვს:

— ბიჭუნი, ჩემო ბიჭუნი, ეს ყველაფერი შენია, ეს სახლი, ეს ეზო, ეს სუროიანი და ჩიტებიანი მუხაც.. ჩვენც შენი ვართ. გაიზარდე და გაიხარე და ჩვენც გაგვახარე, შვილო!

შვილო...

ტასომ მხოლოდ ახლა იგრძნო ახალი და შეუჩვეველი სიტყვის დიდი ძალა. აიტაცა ბავშვი და დროშასავით წაიღო ოდისაკენ. თან ჩურჩულებდა დიადსა და მარადიულს:

— შვილი.., შვილი...

საინტერესო ბიბლიოთეკა

პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრას განზრახული აქვს შეისწავლოს მთელი რიგი კერძო პირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბიბლიოთეკები, გამოავლინოს მათი თავისებურებანი, მუშაობის მეთოდები და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კათედრის საჯარო სხდომაზე წაიკითხონ მოხსენება. მონოგრაფიული შესწავლის ობიექტებს შორის კათედრისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა პოეტ ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკას.

ი. ციციშვილი კარგა ხანს იკვლევდა ამ მეტად თავისებურ და საინტერესო ბიბლიოთეკას, რომლის დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ იგი 10 ივნისს ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრის სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით „ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა, მისი დაკომპლექტების თავისებურებანი და პოეტის ბიბლიოგრაფიული კვლევის მეთოდები“.

მოხსენების წინ კათედრის გამგემ ამხ. გიორგაძემ ილაპარაკა ასეთი სახის ბიბლიოთეკების შესწავლის მნიშვნელობაზე და კათედრის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე ამ დარგში.

მომხსენებელმა ივ. ციციშვილმა დაწვრილებით დაახასიათა პოეტის ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი, სადაც თავმოყრილია ყველა ქართული ასე თუ ისე მნიშვნელოვანი წიგნი, მთელი მდაბიური ლიტერატურა, ქართულად და კავკასიაში რუსულ ენაზე გამოსული ჟურნალები, გაზეთების ამონაჭრების და ჟურნალების ანაბეჭდების მდიდარი კოლექცია. ბიბლიოთეკაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი თეატრების აფიშებსა და პროგრამებს და ზოგიერთი პიესის რეჟისორული ეკზემპლიარების კოლექციას.

გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში ბევრი წიგნია ავტორ-მწერლებისა და ცნობილი საზოგადო მოღვაწეების ავტოგრაფებით და შენიშვნებით.

პოეტი თავის ბიბლიოთეკაში რთულ და მნიშვნელოვან მუშაობას აწარმოებს: ყოველი ბეჭდვითი ნაწარმოების შესახებ მას დაგროვილი აქვს სრული ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობები წიგნის ბეჭდვის, ავტორის, მთარგმნელის, ილუსტრატორისა და სხვათა შესახებ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართველი მწერლების ფსევდონიმების ახსნას, რასაც პოეტი დიდი გულმოდგინებით აწარმოებს.

მომხსენებლის დასკვნით, ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა წარმოადგენს ძვირფას საგანძურს ყველასათვის, ვინც კი იკვლევს ქართული ლიტერატურის საკითხებს და საქართველოს ისტორიას უკანასკნელ საუკუნეებში.

პატრიოტული მოტივები ძველ-ქართულ პოეზიაში

წერილი მესამე

პროფ. ალ. ბარამიძე

გიორგი სააკაძის გმირულმა სახემ ბევრი პოეტი შთააგონა ძველად და ახლად. ძველი დროისთვის სანიმუშოა არჩილის თანამედროვე და იმისი ლიტერატურული სკოლის მიმდევარი იოსებ ტფილელი, გვარად სააკაძე, დიდი მოურავის შთამომავალი, მძაფრი, მგზნებარე, პათეტიური, სიტყვის ოსტატი, ხელოვანი სამაგალითო. ტფილელის პოემა „დიდ-მოურავიანი“ დიდი ტემპერამენტით დაწერილი აპოლოგიაა გიორგი სააკაძისა, გიორგის ქველი ამბების მხატვრული მატიანეა. მეოჯახე, მოყვარული, თავდაბალი, კეთილი კაცი, გულთბილი და ზოგჯერ გულჩვილი, გოლიათი და ბუმბერაზი, სამშობლოსათვის თავდადებული გმირი ვაჟკაცი, ბრძოლის გენია, უშიშარი, შეუპოვარი, მტრების რისხვა და მოყვრის მისანდო, დინჯი, განმსჯელი, დარბაისელი, შორით მჭვრეტელი პოლიტიკოსი, დიდი სარდალი, —ასე გვიხატავს გიორგის პოემის ავტორი. თვითონ ამბავი პოემაში მოთხრობილია პირველი პირით, გიორგის სიტყვით. შესანიშნავ მამულიშვილს და უებრო სარდალს თავისთვის უთქვამს: „თავს ვეტყოდი: ქართლისათვის მოკვდი, წინ გიც, ა, წამება. ვინ რჯულს რყვნიდენ, გვისუსტებდენ, მათთვის მშვილდი აწ ამება!“ ამ სიტყვას შერჩა დიდი სარდალი. ყველა წუწკს და გაიძვერას, მკრეხელს, ანგარს, მლიქვნელს, სულით მდაბალს და ზნით აუგიანს შიშის ზარს სცემდა მისი სახელი. უძლეველ სარდალს არ დაუშურავს სამშობლოსათვის ძალი და ღონე, თავგანწირულად უმკლავდებოდა შემოსეულ მტერს. „ქართლს ნუ მოსტეხე ზურგია“ იყო დევიზი სააკაძისა. მისი ჭკვიანი ხელმძღვანელობით „იბრძვიან ერთპირ ქართველნი, ხმა ისმის ჩახა-ჩუხისა, თათარხნის ჯარი გაწყვიტეს, მებრძოლნი შეაწუხისა“. „ქართლის 'რგება და მწვე სიხარული“ ასულდგმულებდა დიდებულ ვაჟკაცს, ყოველივე პირადული და საკუთარი რომ ანაცვალა ქვეყნის ღირსებას:

არ დავზოგე ქართლისათვის ძმა, ძენი და გან ასული,
თავი დავდევ საწამებლად, ხორცი საკვდად, განა სული?

დიდი ამაგი დასდო ქართლს სააკაძემ. ტფილელი არ აზვიადებს, გიორგის პირით რომ იუწყება:

„ქართლს მოვავლე გალავანი, აწ ვინ აქცევს ზღუდეებსა?
ჩემდა ნაცვლად ჩემს სამკვიდროს ვინ დაიდგამს ბუდეებსა?“

გიორგი კადნიერად არ იქადნიდა: „ყველამ იცით, რომე ქართლი ჩემის ხმლითა დახსნილია“-ო და „ქართველნი დავხსენ მოსპოლვას“. ბრმაც-კი ხედავდა მოურავის უანგარო თავგამოდებას მამულისათვის. ყველას სჯეროდა მოურავის საარაკო სამხედრო ნიჭი, ყველას ხიბლავდა მოურავის კოლოსალური სიგულვალე, მისი სიქველე დარბაისლური, მისი რაინდული სულის სიმტკიცე. მაგრამ ბევრი და ძალიან ბევრი ზოგჯერ უბიწო და უზაკველი, ეჭვით უჭვრეტდა გიორგის საქმეს, არ ენდობოდა მის საქციელს. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. გიორგი სააკაძის იდეები ნაადრევად სჩანდა საქართველოსთვის, ჯერ ნიადაგი არ ყოფილიყო მომზადებული. მე-17 საუკუნის ქართლს ვერ მოენელა მოურავის მაღალი აზრი, ვერ მიმხვდარიყო იმის გულისთქმას. ძველი, თავადაზნაურული საქართველო მტრულად დაუხვდა მოურავის პროგრესიულ პოლიტიკურ განზრახულობას, ცენტრალიზმის, ერთმმართველობის, ერთსულოვნობის, ეროვნული შეკავშირების მოძღვრებას. ქართლში ვერ ჰპოვა გმირმა დასაყრდენი, ფუჭი გამოდგა მისი ღვაწლი, თავგამოდება, გაუდუხჭირდა ცხოვრების გზი:

„ჩემთვის დარმა მოიღრუბლა, აღარ არის მზიანია,
ვიზედაც რომ კარგი ვჰქენი, მე შემექმნა ზიანია“.

ვინ ან რა იყო დამნაშავე? რა და ჩვენი უკუღმართი ცხოვრების ხვედრი. რა და საქართველოს ისტორიული თავგადასავალი, ჩარხის უკუღმა ტრიალი. ვინ და ჩინგის-ხანი, თემურლენგი, შაჰ-აბასი... მე-17 საუკუნე არაფრით არა ჰგავდა თამარის ხანას. საქართველოს ცხოვრების ისტორიული განვითარება შეაფერხა, ზოგჯერ სრულიად შეაჩერა, უკან დაჰხია გარეშე ვერაგული მტრის მოძალებამ „ევროპულ ქვეყნებში ეკონომიური და კულტურული აღორძინება გიგანტური ნაბიჯებით მიდიოდა წინ,—ახალი ქვეყნების აღმოჩენა, ვაჭრობა-მრეწველობისა და ალებ-მიცემობის ზღაპრული გაზრდა, მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი მიღწევები, პოეზიისა და ხელოვნების აყვავება, რენესანსი, ჰუმანიზმი, ახალი კლასიციზმი... საქართველო კი კარჩაკეტილი, განმარტოვებული, პატრიარქალური სოციალურ-ეკონომიური ყოფით, შინაური არევ-დარევით და მტრულად განწყობილი მეზობლებით გარემოცული, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, სისხლში იხრჩობოდა და ეროვნული თვითარსებობის უკანასკნელ ენერგიას ფანტავდა. ამან შეაფერხა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი წინსვლა, ქვეყანა შერჩა ძველი სოციალური წყობისა და ყოფის პრიმიტიულ ფორმებს.“

რაღა თქმა უნდა, დიდი სარდალი ათასჯერ იყო მართალი, როცა ჰკვიროზდა: „ჩემს ჭირნახულსა ქართლზედა, მიკვირს, ვერავინ ხედავსა. რაც საქმე შევსძელ ქვეყნისთვის, თქვით, თუ ვის გაუბედავსა?“ „ქვა არსად არის ქართლშია, რომ ჩემი სისხლი არ სცხია“,—ამბობს გიორგი და პათეთიკური მღელვარებით კვლავ იმეორებს: „რაიბი ჰქმენ ქვეყნისათვის?“

გიორგი სააკაძე უაღრესად ტრაგიკული მოვლენაა საქართველოსი: პერსონალური ღირსებებით სამაგალითო, ქვეყნის ერთგული მამულიშვილი, თავგანწირული, ჩამორჩენისა და სიბეჩავის ვაგლახი მსხვერპლი გახდა. სააკაძე უდროოდ გაჩნდა. მე-17 საუკუნე ვიწრო აღმოჩნდა მოურავისთვის. მას ვერ გაუგეს, ის არ იწამეს. არაჩვეულებრივი სიძლიერით გაიელვა მან საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის სინამდვილეში, გაიელვა და ჩაიფერფლა, უსახელოდ დაილუპა სხვის ქვეყანაში.

იოსებ ტფილელი ვერ ამჩნევს გიორგის ტრაგედიის ნამდვილ საფუძველს. პოეტის აზრით, მხოლოდ „ზოგთ ბაგრატოვანთ“ უმადურობა იყო აუგის წყარო“.

„ზოგთ ბაგრატოვანთ ასრე სჭირს, არ ახლოვს სამსახურია,
რაგინდ რომ ბევრი აამო, ბოლოს არ გიგდონ ყურია,
მაბეზღარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის რომ აქვს შურია“.

საგულისხმოა, რომ ტფილელი არ ამართლებს გიორგის საბედისწერო ნაბიჯს—სპარსეთში ლტოლვას და შაჰის მფარველობის აღიარებას. დიდი სინანულით ამბობს გიორგი:

„ესე მეც ვიცი, იქ წასვლა ვერა ვჰქენ კაის ცნებითა,
დგომა და წასვლა, ორივე, შემქმნია ბოლოს ვსებითა“.

აცდენილი გზით სიარულმა გიორგის ავნო. გიორგიმ ავნო მთელ საქართველოს. მუხანათმა შაჰმა აბასმა მოურავი ერთგვარად გამოიყენა საქართველოს ასაოხრებლად. გიორგის სიტყვით:

„წამობრძანდა[1] და წამოჰყვევ, ჯარნი შეექმნეს ხშირენი.
არ დამიჯერებთ, მოსვლისთვის გული მაქვს ასატირენი!“

ჩვენ კი ვუჯერით გიორგის წუხილს, მაგრამ ულმობელია ფაქტის სიმკაცრე. გიორგიმ გამოისყიდა და სახელოვნად გამოისყიდა დანაშაული, შვილი გასწირა, ქართლი დაიხსნა. კვლავ აღიდგინა დიდი სახელი, დიდი პრესტიჟი. ხელახლა სცადა პოლიტიკური განახლება ქვეყნისა. დიდმა პრესტიჟმა ვეღარ უშველა. ისევ დამარცხდა. შესაბრალისი გაუხდა ხვედრი. სამშობლოში ვერ დადგებოდა, შაჰ-აბასი გადაიმტერა. სად წასულიყო? ვის მიჰკედლებოდა? „ვის რა გაოდა, ქართლშია მეც რომ მეჭამა პურია?“—უსაზღვრო სევდით ჩიოდა გმირი. ჩიოდა და მწარედ მოსთქვამდა გულღვიძლ დამწვარი:

„თაო ჩემო, ვით გასრულო, სევდიანი, როგორ წყლულო,
საქართველოს რჯულისათვის ათასფერად წამებულო,
მეფეთათვის რა ნასაჯო, ნამსახურო, რა ერთგულო,
აღარ შეგრჩა ნოსტეს ლხინი, ალაბ-სტამბოლს დაკარგულო!“

სტკიოდა და ეურჩებოდა მოურავს გული. მშობლიური ქვეყნის სიყვარული სულს უშფოთებდა, ადამიანური სისუსტის გრძნობა ებრძოდა მანამდის ურყევ ფოლადის ვაჟკაცს:

„ვით გაუძლებ კაეშანსა, გულო, ლახვრას აბა სმითა?
ყოფა ჩემი ჩრდილად იქცა, იგ შეიქმნა ა ბასმითა.
გახსოვს, ოდეს ნოსტეს იყავ,ცაცხვქვეშ იჯდი, აბა, სმითა?“

არა, ეს იყო ანაზდეულად მოზღვავებული გრძნობის სიჭარბე, წუთიერი შეშფოთება და მღელვარება ბუმბერაზისა. გიორგი სააკაძეს მხოლოდ სამშობლოს წყლული აწუხებდა. საკუთარი კაეშანი უკვე ჩაეხშო, მდურვა-საყვედურს უთვლიდა სოფელს:

„ბედი წამმა წაგრეხილი აწ უკუღმა დამეცარა.
ვა, სოფელო უხანოო, დრონი აღარ დამეც, არა!“

გიორგის ბაგეს არ დასცდენია სამშობლოს მდურვა. აბა, მუქარა რა სათქმელია? „კრულ“ და „უკუღმართ“ ბედს შეურიგდა, ებრალებოდა ქართლი, სამშობლო:

„უჩემობით მებრალები, ვაჰმე, ქართლო სუსტობისთვის,
გალავანი დაგექცევა, გადგებიან ზოგნი თვის-თვის“.

სააკაძე მშობლიურ მიწას ეთხოვებოდა. მამაცი გული შეღონებოდა, ცრემლი აღრჩობდა, ძლიერი მუხლიც ეკეცებოდა, თვალთ ბინდი ეკრა. მაინც მაგრობდა, უკანასკნელ სალამს უძღვნიდა ფშანის ვრცელ ჭალებს, ნოსტეს მიდამოს. საქართველოს საზღვარს სტოვებდა, მაინც გულს არ იტეხდა, თავს აქეზებდა:

„ვადა-რყეულს ხმალს ნუ აგდებ, თაო, ხელი კიდევ ჰკიდე!“

ტფილელმა შეჰქმნა დიადი სახე გოლიათი ბუმბერაზისა, მარად უჭკნობი და უკვდავი, ზნეურყევი პატრიოტისა, კეთილშობილი და სულგრძელი, კაცად-კაცადი მოურავისა. ეს სახე ხიბლავს შთამომავლობას. გვაყვარებს მამულს, სამშობლოს, ჩვენ ტკბილ მიწა-წყალს

იოსებ ტფილელს მოთხრობილი აქვს ერთი უბრალო სოფლელი მღვდლის თევდორეს სამაგალითო პატრიოტული თავდადების ამბავიც. თრიალეთს შესეოდა თათარხნის ლაშქარი „უმრავლე ზღვისა ქვიშითა“. თათრებს აეკლოთ მანგლისის მიდამოები, იქიდან აპირებდნენ მთის გადალახვას, რომ მოულოდნელად თავს დასხმოდნენ ლუარსაბ შეფის ბანაკს ცხირეთში. კვლთას შეუპყრიათ თევდორე მღვდელი, მხარ-შეკრული წინ გაუგდიათ მეგზურად. ამ უჩინარ მამულიშვილს მტრებისათვის შეგნებულად გზა აუბნევია („მხარი ვლო სხვის სამზღვრისანი“), თავი გაუწირავს („მღვდელს თავი გააგდებინეს“), ქართლის ბანაკი კი დაუხსნია ხიფათისაგან. მადლიერ შთამომავლობას უკვდავუყვია თევდორეს ხსოვნა.

---

[1] იგულისხმება შაჰ-აბასი.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
უე 5947